



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2018 წლის 21 დეკემბრის
№01-05-04/354 დადგენილებით,

მოდულიზებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2021 წლის 26 ნოემბრის
№01-05-04/174 დადგენილებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ავტომობილის ძრავას შეკეთება

მის. ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 77
პროგრამის ხელმძღვანელი: ვალერი ჯაჯანიძე
საკონტაქტო ინფორმაცია: vl.jajanidze@gtu 597933966

თბილისი 2021 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალური ავტოსატრანსპორტის სერვისის / Vehicles Body and Special Purpose Techniques Service

2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: 07119-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair კოდი (040781).

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მრავიანი ტრანსპორტი, გემები და საჰაერო ხომალდები, კოდი - 0716, აღმწერი - „შეისწავლის მრავიანი ტრანსპორტის (მ.შ. დედამიწაზე მოძრავი მანქანები და სასოფლო - სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საჰაერო ხომალდები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, ექსპლუატაციას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას. ამ სფეროსთვის ჩვეულებრივია ლითონის სტრუქტურისა და ძრავების შესწავლის კომბინირება.“

4. მიზანი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ავტომობილების დიაგნოსტიკას, დიაგნოსტიკის შედეგების გაანალიზებას და მის საფუძველზე ძრავას მექანიზმებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სამუშაოების წარმოებას.

5. დაშვების წინაპირობა / წინაპირობები :

საბაზო განათლება:

- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში;

6. დასაქმების შესაძლებლობები:

პროგრამის გავლის შედეგად მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ავტომობილის ძრავას მექანიკოსად (საავტომობილო ტრანსპორტი), ავტოსერვისის მექანიკოსად, დიაგნოსტიკოსად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 45.2; 45.20; 45.20.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7231.

7. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

„ავტომობილის ძრავას შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს:

- ა) 6 ზოგად მოდულს - ჯამური 16 კრედიტის მოცულობით;
- ბ) 6 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 17 კრედიტის მოცულობით;
- გ) 4 პროფესიულ მოდულს - ჯამური 10 კრედიტის მოცულობით;
- დ) ძრავას შეკეთება - კონცენტრაციის 5 მოდულს - ჯამური 14 კრედიტის მოცულობით;
- ე) პროგრამა ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულს, რომლის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ.
- ვ) მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე

ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით უნდა გაიაროს ზოგადი და საერთო პროფესიული მოდულები, კვალიფიკაციის პროფესიული და შესაბამისი კონცენტრაციის მოდულები, კერძოდ:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში, ძრავას შეკეთების კონცენტრაციით არჩევისას მოიცავს ჯამში 58 კრედიტს;

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 58 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 37 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 73 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 48 კვირა;

ქართული ენის მოდული		
№	მოდულის დასახელება	კრედ.
1	ქართული ენა A2	15
	ჯამი:	15
ზოგადი მოდულები		
1	მეწარმეობა 1	2
2	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
5	სამოქალაქო განათლება	3
6	უცხოური ენა (ინგლისური)	4
	ჯამი:	17
საერთო პროფესიული მოდულები		
7	ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია	2
8	შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	3
9	ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები	4
10	დამკვეთთან ურთიერთობა	2
11	საზეინკლო საქმის საფუძვლები	4
12	გაცნობითი პრაქტიკა - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოსატრანსპორტის სერვისები	2
	ჯამი:	17
მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულები		
13	ტრანსმისიის კლასიფიკაცია	2
14	დაკიდების სისტემის საჭით მართვის და სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია	3
15	ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები	2
16	შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია	3
	ჯამი:	10
კონცენტრაცია - ძრავას შეკეთება - მოდულები		
17	ძრავის ზოგადი დიაგნოსტიკა	2

1 8	ძრავის მოხსნა-დაყენება	3
1 9	ძრავის საწვავით კვების სისტემის სერვისი	3
2 0	ძრავის მექანიზმების სერვისი	4
2 1	ძრავის შეზეთვა-გაგრილების სერვისი	2
	ჯამი:	14

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

საერთო სწავლის შედეგები:

1. მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, დაკიდების სისტემის საჭით მართვისა და სამუხრუჭე სისტემების, ტრანსმისიის და შიგა წვის ძრავების კლასიფიცირება;
2. ჩაატაროს ზოგადი ელექტროტექნიკური და ელექტრონული გაზომვები;
3. წარმართოს საქმიანობა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი წესების გათვალისწინებით;
4. წარმართოს დამკვეთთან ეფექტური კომუნიკაცია.

სწავლის შედეგები მსუბუქი ავტომობილის შეკეთების მიმართულებით:

1. მოახდინოს დაკიდების, სჭით მართვის, სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია;
2. მოახდინოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების, გადაცემათა კოლოფების, წამყვანი ხიდების და მათი ამძრავების კლასიფიკაცია მუშაობის პრინციპის მიხედვით;
3. მოახდინოს შიგაწვის ძრავების კლასიფიკაცია ავტობულების, ცილინდრების განლაგების, საწვავის ტიპების და ჰაერის მიწოდების სისტემის მიხედვით.

სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „ძრავას შეკეთება“ :

1. განახორციელოს ძრავას საწვავით კვების სისტემების, ძრავას მექანიზმების, ძრავას გაგრილება-შეზეთვის სისტემის სერვისი;
2. მოახდინოს ძრავას ზოგადი დიაგნოსტიკა;
3. ამოიღოს და ჩადგას ძრავა.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩარჩო დოკუმენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალური ავტოსატრანსპორტის სერვისი/ Motor vehicles and special purpose vehicle services“ საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ავტომობილების ძრავას შეკეთება“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება მოდულურად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და „სასოფლო-სამეურნეო და საამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-დანადგარების სწავლების, ექსპერტიზისა და აუდიტის ცენტრი“ - ის ბაზაზე.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
 - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
 - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
- არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის

გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს

სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომელიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთის მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ქართული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრეროგატივაა. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა აუცილებლად უნდა გაიაროს ზოგადი მოდულები, საერთო პროფესიული მოდულები, მიმართულების პროფესიული და კონცენტრაციის „ძრავას შეკეთება“ მოდულები, რომლის შედეგადაც იგი მიიღებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამღვევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროგრამის განხორციელების ადგილი:

პროგრამა განხორციელდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის (ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68;) და „სასოფლო-სამეურნეო და საამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-დანადგარების სწავლების, ექსპერტიზისა და აუდიტის ცენტრი“ - ის (ქ. თბილისი, კოსტავას 69 ა) ბაზაზე.

დანართი 1. სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი პირები.

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ვალერი ჯავახიანიძე

სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი

ნათია ბურთუჯიძე

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

მიღებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე, ოქმი N13, 10.12.2018 წ.



მოდულირებულია

სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ოქმი N9,
26. 10.2021 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი